კითხვა ბუქსირით

მოსწავლეები ექოდ კითხულობენ მასწავლებლის მიერ მათთვის თვალსაჩინოდ განთავსებულ ტექსტს.

მოსმენილის გაგება	**ფონოლოგიური უნარები**	**ანბანის ცოდნა**	**სიტყვების დეკოდირება და ცნობა**	**ლექსიკური მარაგი**	**გაწაფული კითხვა**	**გაგება-გააზრება**	**წერა**

კლასი: III- VI

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, მთელი კლასი.

რესურსი: დიდი წიგნი ან დიდ ფორმატზე დაწერილი ტექსტი.

მსვლელობა:

- მასწავლებელი კითხულობს მოსწავლეებისათვის თვალსაჩინოდ განთავსებულ ტექსტს. მოსწავლეები ექოდ კითხულობენ მის წაკითხულს.
- მასწავლებელი მოულოდნელად ცვლის კითხვის ტემპს (კითხულობს უფრო ნელაან უფრო სწრაფად) და მოსწავლეები ცდილობენ, მასწავლებლის მსგავსად წაიკითხონ ტექსტი.
- ტემპის ცვლილების შემდეგ მასწავლებელი ცვლის ხმის ტემბრს და ტონს. მაგალითად, კითხულობს უფრო ბოხი ან ჩუმი ხმით, სიმღერით და ა.შ.
- მოსწავლეები, შეძლებისდაგვარად, იმეორებენ იმას, რასაც მასწავლებელი აკეთებს.